საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №80

20/9წ. "28" 03

ქ.თბილისი

„სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 16 ნოემბრის №150 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 16 ნოემბრის №150 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია."
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 28 მარტის №20 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
გიორგი ამილახვარი

მდივანი
ნინო ლიპარტია